

**საქართველოს მთავრობის
დადგენილება
N 170 2009 წლის 18 სექტემბერი ქ. თბილისი**

**სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და
შესაბამისობის შეფასების პროცედურების მოქმედი
დოკუმენტებისა და მათი პროექტების შესახებ შეტყობინებათა
გაგზავნისა და ინფორმაციის გაცვლის წესის დამტკიცების
თაობაზე**

მუხლი 1. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) “ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ” (ვტბ) 1994 წლის 15 აპრილის შეთანხმების მე-10 მუხლით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებისადმი განსაზღვრულ ვალდებულებათა შესრულების მიზნით:

1. დამტკიცდეს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების მოქმედი დოკუმენტებისა და მათი პროექტების შესახებ შეტყობინებათა გაგზავნისა და ინფორმაციის გაცვლის თანდართული წესი.

2. სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების მოქმედი დოკუმენტებისა და მათი პროექტების შესახებ ინფორმაციის გაცვლის ეროვნული საინფორმაციო ცენტრის (ესც) უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს.

3. ეცნობოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას ამ დადგენილების მე-2 პუნქტით სააგენტოსათვის მინიჭებული უფლებამოსილების შესახებ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ეროვნული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების ჩამონათვალში სააგენტოს შეტანის მიზნით.

4. ეროვნულმა საინფორმაციო ცენტრმა უზრუნველყოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან ინფორმაციის გაცვლა სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების, შესაბამისობის შეფასების პროცედურების მოქმედი დოკუმენტებისა და მათი პროექტების შესახებ.

5. საქართველოს სამინისტროებმა, სხვა სახელმწიფო დაწესებულებებმა, რომლებსაც შეეხებათ ზემოაღნიშნული წესი, ეროვნულ საინფორმაციო ცენტრში წარადგინონ სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების, შესაბამისობის შეფასების პროცედურების მოქმედი დოკუმენტები და მათი პროექტები.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების მოქმედი დოკუმენტებისა და მათი პროექტების შესახებ შეტყობინებათა გაგზავნისა და ინფორმაციის გაცვლის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების მოქმედი დოკუმენტებისა და მათი პროექტების შესახებ შეტყობინებათა გაგზავნისა და ინფორმაციის გაცვლის წესი (შემდგომში – წესი) ადგენს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების, შესაბამისობის შეფასების პროცედურების მოქმედი დოკუმენტებისა და მათი პროექტების შესახებ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისათვის (შემდგომში – მსო) შეტყობინებათა გაგზავნისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის წესს.

2. წესი განსაზღვრავს საქართველოს სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების ვალდებულებებს პირველ პუნქტში აღნიშნული დოკუმენტების მომზადებასთან, მიღებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ინფორმაციის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოსათვის (შემდგომში – ეროვნული საინფორმაციო ცენტრი) მსო-ს “ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ” (შემდგომში – ვტბ) შეთანხმების შესაბამისად მიწოდების თაობაზე.

მუხლი 2. ტერმინები

ამ წესში გამოყენებული განმარტებები მიიღება ისე, როგორც ისინი განსაზღვრულია საქართველოს ნორმატიულ აქტებში.

მუხლი 3. ეროვნული საინფორმაციო ცენტრის ვალდებულებები

ეროვნული საინფორმაციო ცენტრი ვალდებულია:

ა) იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტი არ არსებობს ან ეროვნული საინფორმაციო ცენტრისათვის მიწოდებული ტექნიკური რეგლამენტის შინაარსი არ შეესაბამება შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების შინაარსს და თუ ტექნიკურ რეგლამენტს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა სხვა წევრი ქვეყნების ვაჭრობაზე, წარადგინოს მსო-ს სამდივნოში შეტყობინებები სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების პროექტების შესახებ;

ბ) წარუდგინოს მსო-ს წევრ ქვეყნებსა და მათ დაინტერესებულ მხარეებს, მათი

მოთხოვნის შესაბამისად, ცალკეული სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების მოქმედი დოკუმენტები ან მათი პროექტების ასლები;

გ) უზრუნველყოს საქართველოს სამინისტროები, სხვა სახელმწიფო დაწესებულებები, დაინტერესებული იურიდიული და ფიზიკური პირები, მათი მოთხოვნის საფუძველზე, მსო-ს წევრი ქვეყნების შეტყობინებებით, აგრეთვე მათი სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების მოქმედი დოკუმენტების ასლებით;

დ) გადაუგზავნოს მსო-ს წევრი ქვეყნების შენიშვნები სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების ან შესაბამისობის შეფასების პროცედურების პროექტების შესახებ აღნიშნული დოკუმენტის შემმუშავებელ ორგანოებს;

ე) წარუდგინოს მსო-ს წევრ ქვეყნებს საქართველოს სამინისტროების, სხვა სახელმწიფო დაწესებულებების, იურიდიული და ფიზიკური პირების შენიშვნები მსო-ს წევრი ქვეყნის სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების პროექტების შესახებ;

ვ) განათავსოს ეროვნული საინფორმაციო ცენტრის ვებ-გვერდზე მსო-ს წევრი ქვეყნებიდან მიღებული სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების პროექტები და აცნობოს ამ პროექტების შესახებ საქართველოს სამინისტროებსა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებს. ანალოგიურად განათავსოს ინფორმაცია მსო-ს სამდივნოში წარდგენილი სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების პროექტების შესახებ;

ზ) აცნობოს მსო-ს სამდივნოს საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია სტანდარტებთან, ტექნიკურ რეგლამენტებსა და შესაბამისობის შეფასების პროცედურებთან, იმ პროდუქციის (საქონელი, მომსახურება) მითითებით, რომლის მიმართაც ისინი გამოიყენება და წარუდგინოს ხელშეკრულების მოკლე აღწერა;

თ) შეტყობინებები (ინგლისურ ენაზე) სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების მოქმედი დოკუმენტებისა და მათი პროექტების შესახებ წარადგინოს მსო-ს სამდივნოში მსო-ს მიერ მიღებული ფორმების შესაბამისად.

მუხლი 4. საქართველოს სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების ვალდებულებანი

საქართველოს სამინისტროები და სხვა სახელმწიფო დაწესებულებები:

ა) სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების მომზადების, მიღებისა და გამოყენებისას, აგრეთვე ამ დარგში ინფორმაციის გაცვლისას ხელმძღვანელობენ მსო-ს ვტბ-ს შეთანხმების მე-5, მე-6 და მე-10 მუხლებით განსაზღვრული დებულებებით;

ბ) „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ეროვნულ საინფორმაციო ცენტრს წარუდგენენ მასალებს სტანდარტების, ტექნიკური

რეგლამენტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების პროექტების შესახებ;

გ) მსო-ს სამდივნოს ან მსო-ს წევრი ქვეყნის მოთხოვნით ამზადებენ და ეროვნული საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით წარადგენენ პასუხებს მსო-ს წევრი ქვეყნების სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების პროექტების შენიშვნების შესახებ;

დ) სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების ან შესაბამისობის შეფასების პროცედურების დასკვნითი რედაქციის მომზადებისას მხედველობაში იღებენ მსო-ს წევრი ქვეყნების შენიშვნებს, რომლებიც წარდგენილია პროექტის თაობაზე შეტყობინების გამოქვეყნებიდან ორ თვეში;

ე) მიღებული და გამოქვეყნებული სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების ან შესაბამისობის შეფასების პროცედურების ტექსტს ეროვნულ საინფორმაციო ცენტრს წარუდგენენ გამოქვეყნებიდან ორ კვირაში.

მუხლი 5. განსაკუთრებული შემთხვევები

გადაუდებელი და სასწრაფო ზომების განხორციელების აუცილებლობის შემთხვევაში, რომლებიც განსაზღვრავენ მნიშვნელოვან და გაუთვალისწინებელ გარემოებებს, დაკავშირებულს ეროვნულ უსაფრთხოებასთან, მოსახლეობის ჯანმრთელობასთან, გარემოსდაცვით და სხვა გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელებასთან, შესაძლებელია დაუყოვნებლივ, ყოველგვარი კონსულტაციების გარეშე, მომზადდეს და მიღებულ იქნეს ტექნიკური რეგლამენტი ან შესაბამისობის შეფასების პროცედურა. ამ შემთხვევაში, ტექნიკური რეგლამენტი ან შესაბამისობის შეფასების პროცედურა შეიძლება მიღებულ იქნეს მსო-ს სამდივნოში წინასწარი შეტყობინების გარეშე. ამ შემთხვევაში საქართველოს სამინისტროები, სხვა სახელმწიფო დაწესებულებები ამზადებენ პროექტს და წარუდგენენ ინფორმაციას ეროვნულ საინფორმაციო ცენტრს, ხოლო ეროვნული საინფორმაციო ცენტრი წარუდგენს შეტყობინებას მსო-ს სამდივნოს მიღებული ახალი ტექნიკური რეგლამენტის ან შესაბამისობის შეფასების პროცედურის შესახებ, აღნიშნული დოკუმენტის მიზნისა და მისი სასწრაფოდ მიღების აუცილებლობის დასაბუთებით და აგრეთვე იმ პროდუქციის (საქონელი, მომსახურება) მითითებით, რომელზეც ეს დოკუმენტი ვრცელდება.